

პროექტი №49

ინფოკომუნიკაციური ქსელების საიმედოობრივი დაგეგმვის (სტრუქტურული მართვის) ახალი ნახევრადმარკოვული მოდელები - საცდელი მოდელების ანალიზი

პროექტის ხელმძღვანელი - რ. კაკუბავა

დაფინანსება – 14.000 ლარი

პროექტის (№49, 2010წ.) თემა თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას ეხება. ესაა დიდი, ტერიტორიულად განაწილებული კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური ქსელების სასიცოცხლო ეტაპებზე მათი სტრუქტურული მდგრადობის უზრუნველსაყოფად მმართველ გადაწყვეტილებათა მიღება და განხორციელება. ამ საქმეში გადაწყვეტი როლი ენიჭება მაღალი ადექვატურობის მათემატიკური მოდელების გამოყენებას. სწორედ ამ თვალსაზრისით, პროექტი (№49) წარმოადგენს სესფ-ის პროექტის (გრანტი №ST07/3-173) გაგრძელებას და განვითარებას. სახელდობრ, სესფ-ის პროექტი სრულდებოდა 2008-2009 წ.წ. და მასში დამუშავებული იყო სტრუქტურული მართვის მარკოვული მოდელები, ხოლო სტუ-ს პროექტი №49 ეხება ნახევრადმარკოვულ მოდელებს, რაც თეორიული თვალსაზრისით გაცილებით უფრო რთული და შრომატევადი საქმეა. დროისა და სხვა რესურსების შეზღუდულობის გამო დაგეგმილი იყო მხოლოდ საცდელი მოდელების შემუშავება, რაც წარმატებით განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში მომზადდა და მზადდება რამდენიმე სტატია, აგრეთვე მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისთვის. გამოქვეყნებულია 7 სტატია: სტუ-ს შრომათა კრებულში, საერთაშორისო კონფერენციების “ინფორმაციული და გამოთვლითი ტექნოლოგიები” (თბილისი 2010წ.) და „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა“ (თბილისი 2010წ.) შრომათა კრებულებში.